

სამკურნალო მცენარეებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია

(ქართულ, ებრაულ და ინგლისურ ენებში)

ელენა ჯოლბორდი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

(ევროპული-რუსული-აღმოსავლური)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი გულედანი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენა ჯოლბორდი

22.06.2021

სარჩევი

აბსტრაქტი.....	1
შესავალი.....	2
სამკურნალო ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევები	6
მცენარეთა სახელწოდებების წარმოშობა და მათი დამკვიდრების პროცესი	14
სამკურნალო მცენარეებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ქართულ, ებრაულ და ინგლისურ ენებზე	20
დასკვნა	55
ბიბლიოგრაფია	57

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის, “სამკურნალო მცენარეებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია (ქართულ, ებრაულ და ინგლისურ ენებში)”, მიზანია სამკურნალო მცენარეების ტერმინოლოგიის შედარება ქართულ, ებრაულ და ინგლისურ ენებზე და მათი ენობრივი და ეტიმოლოგიური ანალიზი. სამკურნალო მცენარეთა ტერმინოლოგიის შესადარებლად გამოვიყენეთ როგორც სხვადასხვა სახის ლექსიკონი ქართულ, ებრაულ და ინგლისურ ენებზე, ასევე ტერმინების შერჩევისთვის სამკურნალო მცენარეებზე შექმნილი ლიტერატურა და სტატიები. გამოყენებული წყაროებიდან ძირითადი ნაწილი ლექსიკონებს უკავიათ, რადგან ჩვენი თემის მთავარ სამუშაო პროცესს ენების მიხედვით მცენარეთა დასახელებებს შორის მსგავსება-განსხვავებების დაფიქსირების მიზნით შერჩეული ტერმინების თარგმნა, ზემოთ დასახელებულ ენებზე მათი შედარება და განმარტება წარმოადგენს, რათა მცენარეთა ტერმინოლოგიის სახელდების პროცესის გათვალისწინებით, შესაძლებელი გახდეს მათი თავისებურებების დადგენა. ჩვენი კვლევისთვის საინტერესოა იმის გათვალისწინებაც რამდენად შესწავლილია საკითხი და მრავალფეროვანია სამკურნალო მცენარეების ტერმინოლოგიის ლიტერატურა, მათი ეტიმოლოგიისა, სამკურნალო თვისებებისა და სამედიცინო მიზნით გამოყენების შესახებ, რის გამოც ნაშრომში მიმოხილულია ყველა ამ საკითხზე დაწერილი წიგნი ან სტატია, რომელთა შესწავლა და დამუშავება საკითხის სრულყოფილად წარმოდგენის მიზნით აუცილებლად მივიჩნიეთ.

კვლევამ აჩვენა, რომ მცენარეთა სახელების წარმოშობას ხაგრძლივი და მრავალფეროვანი ისტორია აქვს. ხშირად მცენარის ეტიმოლოგია და სამკურნალო თვისებები მისი სახელდების მიზეზი და ენებს შორის განსხვავებული ტერმინების საფუძველია. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, მცენარეთა ლათინური ტერმინები რაოდენობრივად ყველაზე მეტია და სამივე ენაში ჭარბობს, თუმცა არსებობს სახელწოდებები, რომლებიც განსხვავებულია ქართულ, ებრაულ და ინგლისურ ენებში, რისი მაგალითებიც დაწვრილებით ნაშრომშია წარმოდგენილი.

Abstract

The aim of the master's thesis is to compare the terminology of plants (Georgian, Hebrew and English languages), in particular, medicinal plants in Georgian, Hebrew and English as well as their etymological analysis. To compare the terminology of medicinal plants, we used different dictionaries in Georgian, Hebrew and English, as well as literature and articles on medicinal plants for the selection of terms. Most of the sources used are dictionaries, as the main issue of our topic is the translation of terms, comparisons in these specific languages and their definitions, however, since the subject concerns medicinal plants, we also considered it necessary to add information on how developed this field, namely the use of medicinal plants, is; how much literature is available on this subject and we have also added some information about the healing properties along with the definition of terms.

Studies have shown that the origin of plant names has a diverse history, although Latin origins are the most common, and terms of this origin predominate in all three languages. However, there are names that are found only in Georgian, Hebrew and English.

შესავალი

კვლევა ეხება სამკურნალო მცენარეებთან დაკავშირებულ ლექსიკას, მის გამომხატველ საშუალებებსა და მცენარეთა ტერმინებს ქართულ, ებრაულ და ინგლისურ ენებში.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია წარმოვაჩინოთ მცენარეების სახელების წარმოქმნის ისტორია და ის სახეცვლილებები, რაც მათ განიცადეს დროთა განმავლობაში ჩვენ მიერ განსახილველ ენებში. კვლევის პროცესში დადგენილია ძირითადი ტერმინები, რომლითაც მოხსენიებულია ესა თუ ის მცენარე, შესრულდა მათი შედარებითი ანალიზი სამივე ენის მიხედვით და გაირკვა როგორ გადადის ენიდან ენაში ან როგორ მკვიდრდება ეს თუ ის ტერმინი ლექსიკაში, რაც დაგვეხმარა ენის სახელდების პროცესის